შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება

კონსტრუქციული მდგრადობა, პროექტის დიაგნოსტიკის

სამეცნიერო დიაგნოსტიკური ცენტრი.

"C.B.C"

L.T.D

GEORGIA

ქალაქი თბილისი შარტავას 14

Tbilisi shartava str14a

Email:
macharashvili@bog.ge
TEL: +(995)551145214

C.B.C LTD სამეცნიერო ტექნიკური ცენტრი.

ქ.თბილისი, შარტავას 14ა ელ-ფოსტა: macharashvili@bog.ge
ს/კ 40001082
№57

01.03.2020

გეოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა

ქ.თბილისში მოსკოვის გამზირი№13 ს/კ01.17.12.003.209 დემონტაჟისათვის გამოყოფილი უბნის საინჟინრო-გეოლოგიური კვლევების შედეგებზე.

შ.პ.ს "C.B.C"-ს დაკვეთით შ.პ.ს "მშენაღდგენა"-ის ინჟინერ-გეოლოგ ი.მეტრეველის მიერ 2020 მარტში ჩაუტარდა ექპერტიზა ქ.თბილისში ზემოთხსენებულ მიწის ნაკვეთს არსებულ მიწის ნაკვეთზე ს/კ. 01.17.12.003.209 მშენებლობისთვის გამოყოფილი უბნის გეოლოგიური კვლევის შედეგებს.

ექპერტიზისატვის წარმოდგენილია საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის ანგარიში აკინძული ერთ წიგნად, სადაც მოცემულია:
–თავფურცელი –1 გვ.
– სატიტულო ფურცელი ბეჭდითა და დირექტორის და ინჟინერ გეოლოგის ხელმოწერით ერთი გვერდი.
–სარჩევი ფურცელი – 1გვ.
–ტექნიკური დავალება საინჟინრო –გეოლოგიური კვლევის ჩასატარებლად–1გვ.
–მიწერილობა საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის ჩასატარებლად-1გვ.
–დასკვნა ტექტური ნაწილი–6გვ.
–უბნის ტოპო გეგმა მ, 1:500
–ჭაბურღილებისა და უბნის ლითოლოგიური ჭრილები –1გვ.
–საინჟინრო გეოლოგიური სამუშაოები ჩატარებულია 2020 წლის თებერვალში შ.პ.ს " გეოტექი"- ს ინჟინერ-გეოლოგ მ. კაჭკაჭიშვილი მიერ სამშენებლო უბანი მდებარეობს გეომორფოლოგიურად საკვლევი უბანი წარმოადგენს დახრილ რელიეფს.
აბსოლიტური ნიშნულები უბანზე მერყეობს 427 დან 428ის ფარგლებში.

უბნის კლიმატური მახასიათებლები მოტანილია პნ 01.05.08—ის თანახმად.

დავალების თანახმად საპროექტო შენობა ერთსართულიანი სასაწყობე საძირკვლის ტიპი ლენტური შენობის კლასი პასუხისმგებლობის მიხედვით IV, დაპროექტების სტადია საპროექტო დოკუმენტაცია.

უბნის საინჟინრო-გეოლოგიური პირობების შესწავლის მიზნით დასაპროექტებელი შენობის სამხრეთით და აღმოსავლეთ ნაწილში გაიბურღა ორი ჭაბურღილი. №1 და№2 სიღრმით 7მ და 8მ, სულ 15 მეტრი.

როგორც ჩატარებული საინჟინრო გეოლოგიური კვლევებიდან ჩანს, სამშენებლო უბანზე გამოყოფილია ოთხი ფენა-ორი სგე:

ფენა 1- ნაყარი წარმოდგენილია თიხნარით, კენჭებითა და ხვინჭით.

ფენა 2– ქვისებისა და სუბარგილიტების მორიგეობა, ნახევრად მყარი კონსტრუქციის, ხვინჭისა და ღორღის 30% მინარევით, გავრცელებულია მთელს ტერიტორიაზე ფენა 1-ის ქვეშ 1,8მ სიღრმემდე, მისი სიმძლავრე 1.10–1.3მ-ია.

ფენა 3–სგე I-ძირითადი თხელშრეებრივი თიხოვანი ქვიშაქვებისა და არგალიტების მორიგეობაა. სადაც ქვიშაქვებისა და არგალიტების შეფარდება 60/40, ისინი ეროზიული ზედაპირიდან2.7---3.7 მ სიღრმემდე ძლიერ გამოფიტულია. გავრცელებულია მთელს ტერიტორიაზე ფენა 2-ის ქვეშ 4.5—5.5 სიღრმემდე.

ფენა—4 სგე II ძირითადი ქანები თიხოვანი ქვიშებისა და არგალიტების შრეების მორიგეობა, გამოფიტული, სადაც ქვისებისა და არგალიტების შეფარდება 60/40-ზეა, ისინი გავრცელებულიამტელ ტერიტორიაზე ფენა 3-ის ქვეშ მიწის ზედაპირიდან 4.5-5.5 მ სიღმეზე, მისი გაბურღილი სიმძლავრე 0.5 ––1.5 მ–ია.

შრეების მიმართების აზიმუტი 140 გრადუსია. შრეების ვარდნის კუთხე 5-6 გრადუსია.

გრუნტის წყალი სამშენებლო უბანზე გამოკვლეული სიღრმის ფარგლებში არ არის დაფიქსირებული, მარტი 2020 წელი.

დასკვნა და რეკომენდაციები შედგება რამოდგენიმე პუნქტისაგან, სადაც აღნიშნულია რომ, სამშენებლო უბანზე არ აღინიშნება უარყოფითი საინჟინრო გეოლოგიური პროცესები, ხოლო სირთულის მიხედვით მიეკუთვნება I მატივ კატეგორიას, რომ უბანზე გავრცელებულ გრუნტებში გამოყოფილია ორი სგე ფენა 3-სა და 4–ის სახით. ტექნიკური პირობებიდან გამომდინარე რეკომენდირებულია საძირკვლების დაფუძნება განხორციელდეს, I სგე–ზე ძლიერ გამოფიტულ ძირითად ქანებზე–ფენა 3-ზე რ/ბ ფილაზე. მოყვანილია მათი ფიზიკურ-მექანიკური მახასიათებლები, სნ და წ, საარქივო მასალების და საცნობარო ლიტერატურის საფუძველზე.

მიწის ქვეშა სართულის არსებობის გამო მითითებულია, რომ შენობის კედლებმა შეასრულოს სამაგრი კედლების მოვალეობა.

აღნიშნულია რომ საპროექტო ტერიტორიაზე 2020 წლის თებერვალში გრუნტის წყალი არ გამოვლენილა,

ლია ჯეროვნად.

აღნიშნულ პროექტზე ჩვენს მიერ ჩატარებულ იქნა კვლევა, სადაც შესწავლილ იქნა ყველა ის კონსტრუქციული მახასიათებლები და საანგარიშო

სქემა, რაც მოიცავს შენობის მნიშვნელოვან მზიდუნარიან დეტალებს.

საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით შენობების სქემა წარმოდგენელია

შემდეგი სახით:

1. საძირკველები კომბინირებული რომელიც გეოლოგიური მონაცემების მიხედვით დასულია ძირითად მასიურ ფენაზე(ფენაN2),

საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით გათვალისწინებულია არსებული შენობების დემონტაჟი

ჩატარებული ექსპერტიზის საფუძველზე საპროექტო დოკუმენტაცია

შედგენილია გეოლოგიური მონაცემების და სწორი საანგარიშო სქემის მიხედვით, რაც მოცემულია მუშა ნახაზებში დაგათვლებში. შესაბამისად წარმოდგენილი პროექტის კონსტრუქციული ნაწილი შედგენილია და დამუშავებული სამშენებლო ნორმატივებისა და წესების დაცვით.

დ ა ს კ ვ ნ ა

ჩვენს მიერ შესწავლილი საპროექტო დოკუმენტაცია და მასში მოცემული ნახაზები შესრულებულია სამშენებლო ნორმატივების , გეოლოგიური მონაცემებისა და წესების დაცვით, რომელიც სავსებით დამაკმაყოფილებელია.

აქედან გამომდინარე მოცემული დოკუმენტაცია სრულიად აკმაყოფილებს დღეისათვის მოქმედ სამშენებლო ნორმებსა და წესებს.

დირექტორი: ლ. მაჭარაშვილი

კონსტრუქტორ–ექსპერტი: ი. სანაია